


სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი



მ ა რ ი ა მ მ თ ი უ ლ ი შ ვ ი ლ ი

**საჯარო ფინანსებისა და ფინანსური რისკების მართვის
სრულყოფის საკითხები საქართველოში გლობალიზაციის
პირობებში**

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და
სამართალმცოდნეობის ფაკულტეტზე

ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: თეა ხორგუაშვილი,

პროფესორი

გორი

2019

ანოტაცია

მარიამ მთიულიშვილი

საჯარო ფინანსების მართვის მიმართულებით საქართველოში არაერთი რეფორმა და პროექტი განხორციელდა. წლების განმავლობაში საქართველოს ფინანსთა სამინისტრო ჩართული იყო ბიუჯეტის აღსრულებისა და ანგარიშგების სისტემის განვითარების პროცესში, რომელიც მუდმივად ფერხდებოდა უახლოესი წარსულის ქრონიკული ფისკალური კრიზისებისა და ინსტიტუციონალური არასტაბილურობის გამო. მიუხედავად ყველაფრისა შესაძლებელი გახდა ჩამოყალიბებულიყო სახაზინო სამსახური, რომელიც უზრუნველყოფდა სახელმწიფო რესურსების მობილიზებას და მათ ხარჯვას პრიორიტეტულად. საჯარო ფინანსების მართვის მიზანი - არის ხარჯების დონეზე კონტროლის უზრუნველყოფა და საკრედიტო ორგანიზაციის საქმიანობის რენტაბელობის ამაღლება. ამასთან, როგორც ცნობილია, საკმაოდშირად, დადებითი მოვლენა წარმოშობს თავის წინააღმდეგობას ამა თუ იმ ნეგატიური შედეგის სახით, რომელიც წარმოადგენს ეკონომიკური რისკები სმიზეზებს. არის მთელი რიგი ფაქტორები, რომელიც მოქმედებს საპირისპირო მიმართულებით და ჯამში მივყავართ დანაკარგებთან კეთილდღეობის დონეში. სწორედ ასეთი სახის დანაკარგებთანაა დაკავშირებული ფინანსური რისკები. ფინანსური რისკი და მისი მართვის საკითხები მეტ აქტუალობას იძენს თანამედროვე გლობალური ეკონომიკის პირობებში, როდესაც იზრდება ქვეყნებს შორის წარმოების ფაქტორების, საქონლისა და მომსახურების, ფინანსური აქტივების საერთაშორისო მოძრაობა. ჩვენს მიერ წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა მდგომარეობს იმაში, რომ კვლევის ძირითადი შედეგები შესაძლოა გამოყენებულ იქნეს საფინანსო-საკრედიტო დაწესებულებების მიერ რისკების მართვის მეთოდური უზრუნველყოფისას.

Annotation

Improvement of Public Finance and Financial Risk Management in Georgia Under Globalization

Mariam Mtiulishvili

Many reforms and projects were implemented in Georgia in the direction of public finance management. Over the years the Ministry of Finance of Georgia was involved in the development of the budget execution and reporting system, which was continually hindering for the chronic fiscal crisis and institutional instability of the nearest past. In spite of all this, it has become possible to establish a Treasury Service, that would provide mobilization of state resources and their expenditure in priority. The objective of public finances is to ensure the control on the level of the costs and increase the profitability of the credit organization. In addition, as it is known, quite often, positive events generate its resistance in the form of some negative consequences, which is the reason of economic risks. There are the number of factors that operate in the opposite direction and in total lead to losses in the level of welfare. Financial risks are related exactly to such losses. Financial risk and its management issues gain more actuality under the modern global economy, when the international movement of production factors, goods and services, financial assets between the countries is increasing. Theoretical and practical significance of the master's thesis presented by us is that the main findings of the research may be used by financial-credit institutions during the methodical provision of risk management.

შინაარსი

შესავალი	5
თავი I. საჯარო ფინანსების მართვის ძირითადი რგოლები საქართველოში	8
1.1 საჯარო ფინანსების მართვის ძირითადი რგოლის - სახაზინო სამსახურის განვითარების ეტაპები.....	8
1.2. სახაზინო სამსახურში განხორციელებული რეფორმები და განვითარების შედეგები	11
1.3 ინფორმაციული ტექნოლოგიების გავლენა საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის განხორციელებაზე	13
თავი II. საჯარო ფინანსების მართვაში განხორციელებული რეფორმები და განვითარების შედეგები	20
2.1. რეფორმები საჯარო ფინანსების სფეროში	20
2.2. შემოსავლების აღრიცხვა-ანგარიშგების რეფორმა	25
2.3. ფულადი სახსრების მართვისა და პროგნოზირების რეფორმა	26
თავი III. ფინანსური რისკების მართვა გლობალიზაციის პირობებში	28
3.1. ფინანსური რისკების კლასიფიკაცია	28
3.2. ფინანსური რისკების სისტემა და მართვის ეტაპები	37
3.3. ფინანსური რისკების მართვა გლობალიზაციის პირობებში	42
დასკვნა	47
გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა	51

შესავალი

თემის აქტუალობა. ფინანსების მართვა, როგორც, სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის მთავარი კომპონენტია, რაც გულისხმობს სახელმწიფოს ფინანსური რესურსების ეფექტურ გამოყენებას, შემოსავლებისა და ხარჯების რეგულირებას, ეფექტურ ფულის მართვას, რაც თავისთავად აისახება ქვეყნის ეკონომიკური მაჩვენებლების ზრდაში.

ფინანსების ეფექტური მართვის მეშვეობით სახელმწიფომ პოზიტიური ზემოქმედება უნდა მოახდინოს ქვეყანაში არსებულ წარმოებით პროცესებზე, დადებითი გავლენა უნდა იქონიოს საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების მოგვარებაში.

წლების განმავლობაში საქართველოში დაუძლეველ პრობლემას წარმოადგენდა ფინანსური რესურსების სიმწირე. პერმანენტულად დეფიციტური ბიუჯეტისა და სამემოსავლო პარამეტრების შეუსრულებლობის პირობებში სრულიად შეუძლებელი იყო მწყობრი სახარჯო პოლიტიკის განხორციელება.

საჯარო ფინანსების მართვის მიმართულებით საქართველოში არაერთი რეფორმა და პროექტი განხორციელდა. წლების განმავლობაში საქართველოს ფინანსთა სამინისტრო ჩართული იყო ბიუჯეტის აღსრულებისა და ანგარიშგების სისტემის განვითარების პროცესში, რომელიც მუდმივად ფერხდებოდა უახლოესი წარსულის ქრონიკული ფისკალური კრიზისებისა და ინსტიტუციონალური არასტაბილურობის გამო. მიუხედავად ყველაფრისა შესაძლებელი გახდა ჩამოყალიბებულიყო სახაზინო სამსახური, რომელიც უზრუნველყოფდა სახელმწიფო რესურსების მობილიზებას და მათ ხარჯვას პრიორიტეტულად. ფინანსური მართვის მიზანი - არის ხარჯების დონეზე კონტროლის უზრუნველყოფა და საკრედიტო ორგანიზაციის საქმიანობის რენტაბელობის ამაღლება. ამასთან, როგორც ცნობილია, საკმაოდ ხშირად, დადებითი მოვლენა წარმოშობს თავის წინააღმდეგობას ამა თუ იმ ნეგატიური შედეგის სახით, რომელიც წარმოადგენს ეკონომიკური რისკების მიზეზებს. არის მთელი რიგი ფაქტორები, რომელიც მოქმედებს საპირისპირო მიმართულებით და ჯამში მივყავართ დანაკარგებთან კეთილდღეობის დონეში. სწორედ ასეთი სახის დანაკარგებთანაა დაკავშირებული ფინანსური რისკები. ფინანსური რისკი და მისი მართვის საკითხები მეტ აქტუალობას იძენს თანამედროვე გლობალური ეკონომიკის პირობებში, როდესაც

იზრდება ქვეყნებს შორის წარმოების ფაქტორების, საქონლისა და მომსახურების, ფინანსური აქტივების საერთაშორისო მოძრაობა.

თანამედროვე გლობალურ პირობებში ახალი სახის ფინანსური ინსტრუმენტების წარმოშობა და მათი მიმოქცევა ფინანსურ ბაზრებზე, ფინანსური ბაზრის მონაწილეების მხრიდან მათი აქტიური გამოყენება წარმოადგენს დამატებით გამოწვევას ფინანსური რისკების მართვის თვალსაზრისით. აღსანიშნავია, რომ ეკონომიკურ ლიტერატურაში ფინანსურ რისკებში მოიაზრება არა მხოლოდ ის რისკები, რომლებსაც გააჩნიათ ფინანსური ხასიათი, არამედ ის რისკები, რომლებიც წარმოიქმნება კომპანია-ფინანსური შუამავლების საქმიანობაში.

მიუხედავად იმისა, რომ ამ მიმართულებით გარკვეული კვლევა და ანალიზია ჩატარებული, საჭიროა თეორიული პოზიციების გადახედვა და გლობალიზაციის პირობებში ფინანსური რისკების მართვის საკითხებისადმი ახლებური მიდგომა. ეს კი მოითხოვს აღნიშნულ საკითხზე სამეცნიერო კვლევებს.

სწორედ ამ საკითხების სისტემურ შესწავლას და ანალიზს ეძღვნება წინამდებარე სამაგისტრო ნაშრომი.

კვლევის მიზანი და ამოცანები. კვლევის მიზანია გლობალიზაციის პირობებში ფინანსებისა და ფინანსური რისკების სისტემური მართვის ანალიზი და მისი სრულყოფის ძირითადი მიმართულებების განსაზღვრა.

კვლევის მიზნიდან გამომდინარე, ნაშრომში დასახულია შემდეგი ამოცანები:

- სახელმწიფო ხაზინის ადგილის და როლის განსაზღვრა საჯარო ფინანსების მართვაში;
- გლობალიზაციის პირობებში სხვადასხვა სახის რისკებს შორის კავშირურ-თიერთობების გამოვლენა;
- ფინანსური რისკების მართვის საერთაშორისო გამოცდილების ანალიზი და შეფასება, საფინანსო-საკრედიტო დაწესებულებებში რისკების მართვის მეთოდების და ტექნიკის გამოყენება;
- ფინანსური რისკების მართვის ქართული გამოცდილების ანალიზი და მათი გადაჭრის მიმართულებების განსაზღვრა;

- ფინანსების მართვის კვლევის საფუძველზე ფინანსურ ინსტრუმენტებთან, და ზოგადად, ფინანსურ აქტივებთან დაკავშირებული ფინანსური რისკების სისტემური მართვის სრულყოფის საკითხების დამუშავება.

კვლევის საგანი და ობიექტი. კვლევის საგანი არის ფინანსებისა და ფინანსური რისკების მართვა გლობალური ეკონომიკური ურთიერთობების პირობებში.

კვლევის ობიექტია ის ეკონომიკური სუბიექტები, რომელთა საქმიანობა დაკავშირებულია ფინანსურ რისკებთან.

კვლევის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძველი. კვლევის თეორიული საფუძველია ქართველი და უცხოელი მეცნიერ-ეკონომისტების და პრაქტიკოსი სპეციალისტების ნაშრომები ფინანსებისა და რისკების, კონკრეტულად კი - ფინანსური რისკის მართვის საკითხებზე, გლობალიზაციის პირობებში რისკის მართვასთან დაკავშირებული საერთაშორისო და ეროვნული ნორმატიულ-სამართლებრივი დოკუმენტები, საერთაშორისო საფინანსო-ეკონომიკური ორგანიზაციებისა და სამეცნიერო-პრაქტიკული გამოცემების რეკომენდაციები. ქართველ და უცხოელ მეცნიერთა კვლევები, პოლიტიკოსთა და ექსპერტთა შეხედულებები, საერთაშორისო ორგანიზაციათა ანგარიშები და კვლევები. ნაშრომში გამოყენებულია ოფიციალური სტატისტიკური ინფორმაცია და საკანონმდებლო და ნორმატიული დოკუმენტები.

კვლევის საინფორმაციო ბაზას წარმოადგენს საკანონმდებლო და ნორმატიული აქტები, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის, საქართველოს ეროვნული ბანკის სტატისტიკური მასალები.

კვლევის მეცნიერული სიახლე მდგომარეობს გლობალიზაციის პირობებში ფინანსური რისკების მართვის სისტემურ შესწავლასა და მისთვის დამახასიათებელი თავისებურებათა განსაზღვრაში. მეცნიერული სიახლის კონკრეტული ელემენტები მდგომარეობს შემდეგში:

- განსაზღვრულია სახაზინო სამსახურის როლი საჯარო ფინანსების მართვაში.
- განსაზღვრულია საჯარო ფინანსების მართვაში განხორციელებული რეფორმები და მათი დადებითი შედეგები.
- განსაზღვრულია რისკების, კონკრეტულად კი, ფინანსური რისკების არსი და თავისებურებანი, ახსნილია რისკების მართვის შინაარსი და მოცემულია ფინანსური რისკების ახალი ფორმულირება ფინანსური გლობალიზაციის პირობებში;

➤ ჩამოყალიბებულია მათი პრაქტიკაში გამოყენების კონკრეტული წინადადებები ფინანსური გლობალიზაციის პირობებში;

➤ შემუშავებულია ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული რისკების მართვის მეთოდები პრაქტიკაში დანერგვის შესახებ;

➤ ფინანსური რისკების მართვასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ბაზის შესწავლის საფუძველზე შემუშავებულია მისი სრულყოფის წინადადებები.

კვლევის შედეგების პრაქტიკული მნიშვნელობა მდგომარეობს იმაში რომ , სამაგისტრო ნაშრომის ძირითადი შედეგები შესაძლოა გამოყენებულ იქნეს საფინანსო დაწესებულებების მიერ რისკების მართვის მეთოდური უზრუნველყოფისას.

თავი I. საჯარო ფინანსების მართვის ძირითადი რგოლები საქართველოში

1.1 საჯარო ფინანსების მართვის ძირითადი რგოლის - სახაზინო სამსახურის

განვითარების ეტაპები

წლების მანძილზე საქართველოში დაუძლეველ პრობლემას წარმოადგენდა ფინანსური რესურსების სიმწირე. პერმანენტულად დეფიციტური ბიუჯეტისა და საშემოსავლო პარამეტრების შეუსრულებლობის პირობებში სრულიად შეუძლებელი იყო მწყობრი სახარჯო პოლიტიკის განხორციელება. საჯარო ფინანსების მართვის მიმართულებით საქართველოში არაერთი რეფორმა და პროექტი განხორციელდა. წლების განმავლობაში საქართველოს ფინანსთა სამინისტრო ჩართული იყო ბიუჯეტის აღსრულებისა და ანგარიშგების სისტემის განვითარების პროცესში, რომელიც მუდმივად ფერხდებოდა უახლოესი წარსულის ქრონიკული ფისკალური კრიზისებისა და ინსტიტუციონალური არასტაბილურობის გამო. მიუხედავად ყველაფრისა შესაძლებელი გახდა ჩამოყალიბებულიყო სახაზინო სამსახური, რომელიც უზრუნველყოფდა სახელმწიფო რესურსების მობილიზებას და მათ ხარჯვას პრიორიტეტულად.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში სახაზინო სამსახური შეიქმნა 1995 წლიდან და შექმნის დღიდან ძირითად ფუნქციას წარმოადგენდა საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის აღსრულება, როგორც დაფინანსების განხორციელება ასევე აღრიცხვა-ანგარიშგება. ნორმატიული ბაზის სრულყოფის მიზნით “საქართველოს საბიუჯეტო კოდექსით” განისაზღვრა ხაზინის ფუნქციები და უფლებამოსილება, ჩამოყალიბდა და დაიხვეწა შემოსულობებისა და გადასახდელების კლასიფიკაციის ახალი სისტემა, ასევე შემუშავდა და დამტკიცდა ინსტრუქციები.

1999 წლიდან სახაზინო სამსახურმა დაიწყო სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების აღრიცხვა-ანგარიშგება, მიუხედავად იმისა, რომ შემოსავლების უამრავი ანგარიში მაინც რჩებოდა საქართველოს ეროვნულ და კომერციულ ბანკებში. 2004 წლიდან დაიხურა საქართველოს ეროვნულ ბანკში და კომერციულ ბანკებში არსებული 10 000-ზე მეტი ანგარიში და შემოღებული იქნა ბიუჯეტის შემოსულობის ერთიანი სახაზინო ანგარიში, სადაც მიიმართებოდა ყველა ბიუჯეტის შემოსულობა 300-მდე სატრანზიტო ანგარიშის მეშვეობით. ბიუჯეტის შემოსულობათა აღრიცხვა ანგარიშგება

ბევრად უფრო დეტალური და ყოვლისმომცველი იყო სახაზინო სამსახურის მიერ ვიდრე მანამდე არსებული პრაქტიკა.

2005 წლიდან სახაზინო სამსახურის მიერ დახურული იქნა ყველა სატრანზიტო ანგარიში და ამოქმედდა ცხრა ნიშნისანი შემოსულობის სახაზინო კოდები, რომელიც დღესაც ეფექტურად ფუნქციონირებს. ასევე, 2006 წლამდე სახაზინო სამსახურის საქართველოს ეროვნულ ბანკში გახსნილი ჰქონდა ბიუჯეტის ხარჯების ძირითადი ანგარიში, ასევე საოპერაციო დეპარტამენტის და რეგიონალური ხაზინის მომსახურე ანგარიშები მომსახურე ორგანიზაციების დასაფინანსებლად.

2006 წლის 1 იანვრიდან შემოღებული იქნა ხაზინის ერთიანი ანგარიში, შესაბამისად დაიხურა ყველა შემოსავლების და ხარჯების ანგარიში და ნაშთები მიიმართა ხაზინის ერთიან ანგარიშზე. აღნიშნული პერიოდიდან ხაზინის ერთიანი ანგარიში მოქმედებს სრულყოფილად სადაც ხდება ყველა შემოსულობის მიმართვა და საიდანაც ხდება სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების დაფინანსება.

სახაზინო სამსახურის განვითარების შემდგომ ეტაპზე გადასვლამ მოითხოვა ინტეგრირებული, მომხმარებლისათვის მოსახერხებელი და დამაკმაყოფილებელი საინფორმაციო სისტემის არსებობა, თანამედროვე კომუნიკაციების სისტემები და ტექნიკური ბაზების არსებობა. 2010 წლიდან დაინერგა ხაზინის ელექტრონული სისტემის პირველი ვერსია, რომლის ტექნიკური და ფუნქციონალური განახლება მიმდინარეობს მუდმივად.

2015 წლის 1 იანვრიდან მოხდა საჯარო ფინანსების მართვის კუთხით კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი - ხაზინის ერთიანი ანგარიშის სრულყოფა, რაც გულისხმობს ადგილობრივი თვითმმართველობის ერთეულებისთვის და საჯარო სამართლის იურიდიული პირების (სსიპ) და არაკომერციული (არამომგებიანი) იურიდიული პირების (ააიპ) კომერციულ ბანკებში ანგარიშების დახურვას და მათი ნაშთების ხაზინის ერთიან ანგარიშზე მიმართვას. აღნიშნულმა უზრუნველყო საჯარო ფინანსების ერთ ხელში თავმოყრა, რაც უზრუნველყოფს მათ ეფექტურ ხარჯვას და გამჭვირვალობას.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური არის მუდმივად განვითარებაზე ორიენტირებული ორგანო, სადაც სახაზინო

სამსახურის თანამშრომლები, კონსულტანტები და საფინანსო-ანალიტიკური სამსახურის წარმომადგენლები განსაზღვრავენ პროექტის კომპეტენციის ფარგლებს და დამატებით მოდულებს და ფუნქციონალებს (მაგალითად უსაფრთხოებისა და სისტემის ფუნქციონირებისთვის).

1.2. სახაზინო სამსახურში განხორციელებული რეფორმები და განვითარების შედეგები

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური - სახელმწიფო ხაზინა დღეისათვის წარმოადგენს თანამედროვე საჯარო ფინანსების მართვის ძირითად რგოლს, რომლის მთავარ მიზანს წარმოადგენს:

- ბიუჯეტების შემოსულობებისა და გადასახდელების სრული და ზუსტი აღრიცხვა, ანგარიშგება და ანგარიშსწორება;
- ხაზინის ერთიან ანგარიშსა და სხვა ანგარიშებზე არსებული ფულადი სახსრების მართვა;
- საჯარო სექტორში ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტის დამკვიდრება;

სახელმწიფო ხაზინის ორგანიზებით ფუნქციონირებს ორი სათათბირო ორგანო, რომელიც იღებს გადაწყვეტილებებს შესაბამისი კომპეტენციის ფარგლებში:

- საქართველოს მთავრობის სათათბირო ორგანოს „საჯარო სექტორის სართემორისო ბუღალტრული სტანდარტების საბჭოს“ სამდივნო;
- საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სათათბირო ორგანოს „სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაცემული სესხებისა და ვადაგადაცილებული საგადასახადო დავალიანებების რესტრუქტურირების კომისიის“ სამდივნო.

1997 წლიდან დღემდე სახაზინო სამსახურში განხორციელდა არაერთი სტრუქტურული რეფორმა, 2010 წლიდან გაუქმდა ყველა რეგიონალური ფილიალი და შეიქმნა ერთი ცენტრალიზებული სისტემა. 2012 წელს ამოქმედდა სახაზინო სამსახურის ახალი დებულება, რომლითაც განისაზღვრა სახაზინო სამსახურის უფლებამოსილებანი და ფუნქციები, რაც რეფორმის შედეგად მიშვნელოვნად იქნა გაზრდილი. ახალი დებულებით მოხდა სახაზინო სამსახურის სტრუქტურის დახვეწა. საბიუჯეტო სახსრების ეფექტურად მართვის მიზნით მკვეთრად იქნა შემცირებული სამტატო რიცხოვნობა. დღეისათვის ასე გამოიყურება სტრუქტურა:

- სახაზინო სამსახური - საქართველო ფინანსთა სამინისტროს დაქვემდებარებული სამსახური;
- ერთი ოფისი 97 პერსონალით;
- ზოგადად პასუხისმგებელია:
 - ❖ ბიუჯეტის გადასახდელების შესრულებაზე, აღრიცხვასა და ანგარიშგებაზე;
 - ❖ ბიუჯეტის შემოსულობების აღრიცხვასა და ანგარიშგებაზე;
 - ❖ ბუღალტრული მეთოდოლოგიის განვითარებაზე;
 - ❖ PFMS- ის ფუნქციური განვითარებაზე;

სახელმწიფო ხაზინა 2018 წლის მონაცემებით ემსახურება 1576 საბიუჯეტო ორგანიზაციას, მუნიციპალურ სამსახურს, საჯარო სამართლის იურიდიულ პირსა და არასამეწარმეო (არამომგებიან) იურიდიულ პირს.

1.3 ინფორმაციული ტექნოლოგიების გავლენა საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის განხორციელებაზე

ინფორმაციულმა ტექნოლოგიებმა დიდი გავლენა მოახდინა სხვადასხვა კომპანიების და სახელმწიფო სექტორის ორგანიზაციების ბიზნესპროცესებზე. პერსონალური კომპიუტერების, ლოკალური და გლობალური ქსელების გამოჩენამ რადიკალური ცვლილებები შეიტანა სხვადასხვა სფეროში. ამ ვითარებაში, დიდ მნიშვნელობას იძენს ინფორმაციული ტექნოლოგიების სფეროს მიერ შეთავაზებული

მომსახურების ხარისხი. როგორც ყველასთვის ცნობილია, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო არის უწყება, რომელიც ახორციელებს სახელმწიფო მმართველობას საფინანსო-საბიუჯეტო და საგადასახადო სფეროში. სამინისტრომ მიიღო სტრატეგიული ხედვა სახელმწიფო სექტორში ფინანსური მართვის რეფორმის მხარდამჭერი პროექტის განხორციელების შესახებ, რომელიც შედგება ოთხი ძირითადი კომპონენტისგან : სახელმწიფო ბიუჯეტის დაგეგმარების პროცესის ავტომატიზაცია; სახელმწიფო ხაზინის პროცესების ავტომატიზაცია და სახელმწიფო სახსრების გამოყენების კონტროლი; სამინისტროს სისტემაში ადამიანური რესურსების მართვის პროცესების ავტომატიზაცია, რომელიც ინტეგრირებული იქნება ფინანსური მართვის სისტემაში; გაძლიერებული გარე კონტროლის მექანიზმები რეპორტიინგი.

ნაშრომში განხილულია სახელმწიფო ხაზინის ელექტრონული მომსახურების სისტემის შემუშავება და დანერგვა სახელმწიფო სექტორში, რაც ქვეყანაში სიახლეს წარმოადგენდა. აღნიშნული სისტემის ავტომატიზაცია განახორციელდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურმა და საჯარო იურიდიულმა პირმა საფინანსო-ანალიტიკურმა სამსახურმა. სისტემის მონაწილეები არიან ზემოთ ხსენებული სამსახურები და ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციები. დღეს ავტომატიზებული სისტემის არსებობამ, მინიმუმამდე დაიყვანა შეცდომების რაოდენობა, გაამარტივა ყველა ის ოპერაციული ქმედებები, რაც დაკავშირებული იყო ხელით შრომის სირთულეებთან. სისტემის დანერგვამ ხელი შეუწყო სახელმწიფო სექტორში არსებული პროცესების მიმდინარეების დაჩქარებას, ინფორმაციის რეალურ დროში მიღებას, ინფორმაციის გამჭვირვალობას, მომსახურების გაუმჯობესებას, ხარჯების შემცირებას, დოკუმენტების დამუშავებისთვის საჭირო დროის შემცირებას, ქვეყნის მასშტაბით მონაცემების მარტივად დამუშავებას, დროისა და რესურსების ეფექტურ მართვას, პროგრამული უზრუნველყოფა. სისტემის დანერგვამდე სახაზინო სამსახური შედგებოდა ცენტრალური აპარატისგან, რომელიც შედგება დეპარტამენტებისგან, მათში შემავალი სამმართველოებისაგან და რეგიონალური ხაზინებისგან. აღნიშნულ სტრუქტურებში მუშაობდა 500-მდე თანამშრომელი.

სახაზინო სამსახურს ჰქონდა შიდა სპეციალური გამოყენების პროგრამული უზრუნველყოფა, რომელიც ეფუძნებოდა პროგრამა Access, მონაცემთა ბაზა MSSQL Server 2005. აღნიშნულს სჭირებოდა თითოეულ კომპიუტერზე პროგრამის ჩაწერას და

ტექნიკურად გამართვას. მოუხერხებელი იყო ბევრი დამოუკიდებელი ინტერფეისების არსებობა, რომლებიც დაყოფილი იყო ფუქციების მიხედვით, რეგიონალურ ხაზინებსა და ცენტრალურ ხაზინას შორის კავშირი ხდებოდა მონაცემების ექსპორტ/იმპორტის საშუალებით, ანუ მონაცემების ერთმანეთთან გადაგზავნის გზით. რეგიონებში საჭირო იყო ცალკე სერვერის არსებობა და მათი მხარდაჭერა. პროგრამაში გამოყენებული კალსიფიკატორები, ცნობარები ივსებოდა ხელით და არ მოწმდებოდა ელექტრონულად დედან ინფორმაციასთან. საანგარიშსწორებო ცენტრსა და საქართველოს ეროვნულ ბანკს შორის გამოყენებულია კოდირების პროგრამული უზრუნველყოფა – RTGS, რომლითაც სარგებლობს საქართველოში არსებული საბანკო დაწესებულება ეროვნულ ვალუტაში ოპერაციების განხორციელებისთვის. კონსოლიდირებული მონაცემების მომზადების შემდგომ ხდებოდა დაგენერირებული საგადახდო დავალებების რეესტრების ფაილებად ატვირთვა RTGS სისტემაში.

სახელმწიფო ხაზინაში მიმდინარე პროცესები იყო შემდეგი:

წლის დასაწყისში ფინანსთა სამინისტროს საბიუჯეტო დეპარტამენტი გადასცემდა ქალაქდური ფორმით სახელმწიფო სახაზინის, სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების დეპარტამენტის ხარჯების განწერის სამმართველოს საბიუჯეტო ხარჯების კვარტალურ გაწერას, ხარჯების გაწერის სამმართველოს მიერ ხორციელდებოდა კვარტალური გაწერის ელექტრონულად დამუშავება, და არსებულ შიდა სისტემაში მოთავსება. აქვე, არსებობის შემთხვევაში მიმდინარეობდა სახაზინო სამსახურის მომსახურებაზე მყოფი ორგანიზაციების მიერ მოწოდებული ქალაქდური მატარებლით ინფორმაციის აღრიცხვა მიზნობრივი გრანტების შესახებ. საბიუჯეტო ორგანიზაციები წარადგენდნენ გეგმის ასიგნების ფარგლებში დეტალურ გეგმას კვარტლების მიხედვით, რასაც სახელმწიფო ხაზინის თანამშრომლები ამუშავებდნენ და ათავსებდნენ სისტემაში.

სახაზინო სამსახურის ვალდებულებების სამმართველო ახდენდა სახაზინო სამსახურის მომსახურებაზე მყოფი ორგანიზაციების მიერ წარდგენილი ქალაქდური ფორმით ვალდებულების დოკუმენტის, წერილობითი მომართვის, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის და კვარტალური განაცხადით აღებული ვალდებულებების რეგისტრაციას არსებულ პროგრამაში და მის შემოწმებას სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნირების გაწერასთან. ამასთანავე მიზნული დოკუმენტების რეესტრი საჭიროებდა

საქართველოს ფინანსთა მინისტრთან წარდგენას და დამტკიცებას. შემდგომ სახაზინო სამსახურის მომსახურებაზე მყოფი ორგანიზაციები საგადასახადო მოთხოვნას ქალაქური ფორმით ადგენდნენ სამეურნეო მოვლენის მოხდენის შემდეგ, სადაც მიეთითებოდა სამეურნეო მოვლენის მოხდენის დამადასტურებელი დოკუმენტი და მოთხოვნილი თანხა რეგისტრირებული ვალდებულების და ფინანსური გეგმის ფარგლებში. სახაზინო სამსახურის საგადასახადო მოთხოვნების სამმართველო ახორციელებდა საგადასახადო მოთხოვნების რეგისტრაციას. სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადარიცხვებისას საგადასახადო მოთხოვნას ადგენდა ფინანსთა სამინისტროს საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტი, რომლის დამუშავებას და შემოწმებას ახორციელებდა ბუღალტრული აღრიცხვა- ანგარიშგების სამმართველო. სავალუტო ანგარიშზე ფულადი სახსრების მართვას, აღნიშნული პროცესი არ იყო ავტომატიზებული. სახაზინო სამსახურის საგადასახადო მოთხოვნების შემოწმების სამმართველო ამოწმებდა უკვე დარეგისტრირებულ საგადასახადო მოთხოვნებს. შემოწმების შემდეგ ხორციელდებოდა აღნიშნული საგადასახადო მოთხოვნების რეესტრებად ჩამოყალიბება და ამობეჭდვა. ამ ფაილების ატვირთვა ხდებოდა RTGS სისტემაში, რაც წარმოადგენდა რეალური დროის რეჟიმში ანგარიშსწორების სისტემას, სახელმწიფო ბიუჯეტის აღრიცხვა-ანგარიშგების სამმართველო აწარმოებდა ფულადი სახსრების დაგეგმვას და მართვას. ორგანიზაციულ დონეზე კონტროლს უწევდა საოპერაციო დეპარტამენტი. ხარჯების გაწერის სამმართველო ასევე აწარმოებდა მიზნობრივი გრანტების აღრიცხვას, რომლებიც არ იყო გათვალისწინებული კვარტალურ გაწერაში. აღრიცხვა ხორციელდებოდა თანხის ჩარიცხვის შემთხვევაში.

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკებისა და საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების შემოსულობათა მართვას ახორციელებდა სახელმწიფო ხაზინა საქართველოს ეროვნული ბანკის კომერციული ბანკების მეშვეობით. გადასახადის გადამხდელების ან სხვა განმთავსებლების მიერ ბიუჯეტის შემოსულობების ჩარიცხვა ხაზინის ლარის ერთიან ანგარიშზე ხორციელდებოდა მათ მიერ მომზადებული საგადასახადო საბუთების საფუძველზე საბანკო დაწესებულების მეშვეობით. სახელმწიფო ხაზინა ახორციელებდა საბანკო დღის განმავლობაში მიღებულ ბიუჯეტის შემოსულობათა ყოველდღიურ განაწილებას სახსრების მფლობელების მიხედვით.

ხაზინის ერთიან ანგარიშზე შემოსულობებთან ერთად ხორციელდება სხვადასხვა დანიშნულების დეპოზიტური თანხების ჩარიცხვა, განთავსება და მართვა. ასევე სახაზინო სამსახურს გააჩნია ერთიანი სავალუტო ანგარიში, სადაც ხორციელდება სავალუტო ოპერაციების განხორციელება მართვა, ამ შემთხვევაში ყოველდღიურად ხდება დაბეჭდილი საგადახდო დავალებების საქართველოს ეროვნულ ბანკში წარდგენა და ჩარიცხვების შესახებ დოკუმენტების წამოღება.

ცენტრალური სახაზინო სამსახური რეგიონალურ ხაზინებთან მონაცემების ურთიერთ გაცვლა მიმდინარეობდა IT-ს თანამშრომლის დახმარებით, რომელიც ამოწმებს ყოველ საღამოს გაიგზავნა თუ არა ეროვნული ბანკიდან მიღებული მონაცემები, შემოსავლების სამმართველოს მიერ გენერირებული ფაილები ცენტრალური სერვერიდან. ახორციელებდა ყველა ჩამოყალიბებული ფაილების ვალდებულების დოკუმენტის, კვარტალური განაცხადის, მოთხოვნის დოკუმენტის დეშიფრაციას და ცენტრალურ სერვერზე გადაგზავნას, ქმნიდა კონსოლიდირებულ ინფორმაციას ნაერთი ფაილებით.

ასევე, აგროვებდა ყველა გასაგზავნ ფაილებს სპეციალური პროგრამის მეშვეობით და აგზავნდა შესაბამის რეგიონალურ ხაზინებში და პირიქით ახორციელებდა რეგიონალური ხაზინებიდან ფაილების მიღებას.

აღნიშნული პროცესი ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციებისთვის იყო მოუხერხებელი, მოითხოვდა ხარჯების გაწევას დამატებითი რესურსების გამოყოფას. თითოეული ოპერაციის განხორციელებისთვის მათ უწევდათ თითოეული დოკუმენტის წარსადგენად, მისვლა რეგიონალურ ან ცენტრალურ ხაზინაში. ასევე სახელმწიფო ხაზინის თამაშრომლებს უწევდა რეგიონალურ ხაზინებსა და ცენტრალურ ხაზინას შორის ფაილების გადაწერა, კონტროლი წარამტებული ფაილების ჩამოყალიბებაზე, რეგიონებში სერვერების, პერსონალური კომპიუტერების და ქსელის მოვლა. იმის მიუხედავად რომ სახელმწიფო ხაზინაში არსებობდა პროგრამა, მაინც ძალიან ბევრი პროცესი მიმდინარეობდა რთულად და ქაღალდური მატარებლის საშუალებით. მთავარი ამოცანაა მიეცეს ამ ორგანიზაციებს ოფისიდან გაუსვლელად ამ ოპერაციების განხორციელების საშუალება. სტანდარტული ოპერაციებისთვის როგორცაა ხელფასი, კომუნალური გადასახადელები განხორციელდეს მათი იდენტიფიცირება და სწრაფი შესრულება. დამატებითი შემოწმებები გააკეთოს

სისტემამ და გამოირიცხოს ადამიანური ფაქტორით შეცდომების დაშვება. რამაც გამოიწვია რეგიონალური ხაზინების გაუქმება და რეგიონში არსებული საბიუჯეტო ორგანიზაციების ოპერაციების შესრულების, კონტროლის და მართვის განხორციელება გადაეცა ცენტრალურ ხაზინას. ცენტრალურ ხაზინაში გაუქმდა სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების დეპარტამენტის ხარჯების გაწერის სამმართველო. გადაწყდა შემუშავდეს და დაინერგოს სახელმწიფო ხაზინის ელექტრონული მომსახურების სისტემა, რომლის მეშვეობით მოხდება ამ დოკუმენტების წარდგენა, შესრულება, კონტროლი ელექტრონულად.

სახელმწიფო ხაზინის ელექტრონული მომსახურების სისტემა არის ვებ-აპლიკაცია, რომელიც მოიცავს შემდეგ მოდულებს: სისტემაში დაშვების მოდულს მომხმარებლის პირად სივრცეს, რომელიც შედგება შემდეგი ქვემოდულებისგან ინფორმაციული გვერდი, რეპორტების გვერდი, ხელშეკრულებების ვალდებულებების აღრიცხვის , გადარიცხვების წარმოების გვერდი, ხელფასების მართვის მოდული, მივლინებების მართვის მოდული, ბუღალტრული ოპერაციები მთავარი წიგნი-ორმაგიგატარებები თვითონ ვებგვერდი განთავსებულია დაცულ მისამართზე, <https://www.etreasury.ge/>,

საინფორმაციო სისტემის ძირითადი მენიუდან მომხმარებელს აქვს საშუალება მიიღოს ინფორმაცია სახაზინო სამსახურში არსებული რესურსების, მის მიერ წარდგენილი ხელშეკრულებების, ვალდებულებების და მოთხოვნების შესახებ. ასევე განახორციელოს ხელშეკრულებების, ვალდებულებების და მოთხოვნების ელექტრონულად შევსება, დადასტურება და სახელმწიფო ხაზინაში წარდგენა. ხაზინის ელექტრონული მომსახურების სისტემა გვამძლევს საშუალებას გამოვიყენოთ კიდევ ბევრი სხვადასხვა ფუნქციები. ეს არის, მიზნობრივი გრანტები, საავანსო მოთხოვნები, თანამშრომლების ჩანართში შეყვანილი სამტატო ნუსხის საფუძველზე განხორციელდეს შემოსავლების დარიცხვა, ხელფასების დარიცხვა, შეიქმნას ელექტრონული სახელფასო უწყისი, სამივლინებო გადარიცხვები და ყველა ის ოპერაცია, რომელიც სახაზინო კოდის ფარგლებშია წარმოებული და წარმოადგენს ბუღალტრული გატარები სქრონოლოგიურ ერთობლიობას.

მომხმარებლის პირად სივრცეში მოთავსებულია ჩანართები, რომლებიც გვამძლევს საშუალებას განვახორციელოთ კონკრეტული ოპერაციები და მივიღოთ

შესაბამისი იფორმაცია. აღნიშნული შედეგა შედეგი ძირითადი ჩანართებისგან: ძირითადი მენიუ მომხმარებლის პირადი სივრცის პირველი გვერდი - რესურსები, ხელშეკრულებები, ვალდებულებები, მოთხოვნები, მიზნობრივი გრანტის კონვერტაციები, დამოწმებები, პაკეტი, თანამშრომლები, ხელფასები, მივლინებები, მთავარი წიგნი. თითოეული ჩანართი შედეგა ოპერაციების შესასრულებელი ინსტრუმენტებიდან, ფილტრებიდან, ჩანართში არსებული ინფორმაციის რეესტრიდან.

სახელმწიფო ხაზინის მომსახურების ელექტრონული სისტემა იყენებს სხვადასხვა სისტემებიდან საჭირო მონაცემებს, სახელმწიფო ბიუჯეტის გეგმას, მოქალაქეების და გადასახადის გადამხდელების შესახებ ინფორმაციას, სახელმწიფო შესყიდვების შედეგად გაფორმებული ხელშეკრულებების შესახებ ინფორმაციას, ვალუტის კურსებს, საბანკო ანგარიშის ნომრის სისწორის შესახებ ინფორმაციას და ა.შ.

სახელმწიფო ხაზინას ეროვნულ ბანკში გახსნილი აქვს ლარის ერთიანი და მულტი სავალუტო ერთიანი ანგარიშები, სადაც ხდება ბიუჯეტის შემოსულობების და სხვა ჩარიცხვა და ამავდროულად საიდანაც ხდება ხარჯის გაწევა. ლარში შესასრულებელი ოპერაციები სახელმწიფო ხაზინის ლარის ერთიანი ანგარიშიდან სრულდება სახელმწიფო ხაზინის ელექტრონულ სისტემაში ინტეგრირებული ეროვნული ბანკის RTGS სისტემის საშუალებით, ხოლო სავალუტო გადარიცხვები სრულდება სახელმწიფო ხაზინის მულტი სავალუტო ერთიანი ანგარიშიდან SWIT სისტემის საშუალებით.

მთავარი სიახლე, რომელიც მიგვაახლოებს საერთაშორისო სტანდარტს ეს არის მთავარი წიგნის დანერგვა სახელმწიფო ხაზინის ელექტრონულ სისტემაში. ხაზინის მთავარი წიგნის კონცეფცია ითვალისწინებს სახელმწიფო ფინანსებთან დაკავშირებული ტრანზაქციების და ჩანაწერების ერთიან სისტემაში ინტეგრირებას; IPSAS -ზე დაფუძნებული ერთიანი ანგარიშთა გეგმის შემოღებას და მთავრობის აქტივ-პასივების ბალანსის არსებობას დროის რეალურ რეჟიმში. მთავარ წიგნში აისახება ყველა გატარება ორმაგი ჩაწერის პრინციპით, როგორც საბიუჯეტო ორგანიზაციის მიერ სამეურნეო ოპერაციის დამადასტურებელი პირველადი დოკუმენტის გატარების, ისე ხაზინის ერთიანი ანგარიშიდან ჩამოწერილი თანხის საკასო ოპერაციის გატარების სახით. წინასწარ განსაზღვრულ ანგარიშებზე ხდება ხარჯის ავტომატური გადახურვა ე.წ. “გადაფარვის ოპერაცია” ხაზინის მიერ დაწესებული მოთხოვნების შესაბამისად.

2015 წლის 1 იანვრიდან მოხდა საჯარო ფინანსების მართვის კუთხით კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი - ხაზინის ერთიანი ანგარიშის სრულყოფა, რაც გულისხმობს ადგილობრივი თვითმმართველობის ერთეულებისთვის და საჯარო სამართლის იურიდიული პირების (სსიპ) და არაკომერციული (არამომგებიანი) იურიდიული პირების (ააიპ) კომერციულ ბანკებში ანგარიშების დახურვას და მათი ნაშთების ხაზინის ერთიან ანგარიშზე მიმართვას. აღნიშნულმა უზრუნველყო საჯარო ფინანსების ერთ ხელში თავმოყრა, რაც უზრუნველყოფს მათ ეფექტურ ხარჯვას და გამჭვირვალობას.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური არის მუდმივად განვითარებაზე ორიენტირებული ორგანო, სადაც სახაზინო სამსახურის თანამშრომლები, კონსულტანტები და საფინანსო-ანალიტიკური სამსახურის წარმომადგენლები განსაზღვრავენ პროექტის კომპეტენციის ფარგლებს და დამატებით მოდულებს და ფუნქციონალებს (მაგალითად უსაფრთხოებისა და სისტემის ფუნქციონირებისთვის).

თავი II. საჯარო ფინანსების მართვაში განხორციელებული რეფორმები და განვითარების შედეგები

2.1. რეფორმები საჯარო ფინანსების სფეროში

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური - სახელმწიფო ხაზინა დღეისათვის წარმოადგენს თანამედროვე საჯარო ფინანსების მართვის ძირითად რგოლს, რომლის მთავარ მიზანს წარმოადგენს:

- ბიუჯეტების შემოსულობებისა და გადასახდელების სრული და ზუსტი აღრიცხვა, ანგარიშგება და ანგარიშსწორება;

- ხაზინის ერთიან ანგარიშსა და სხვა ანგარიშებზე არსებული ფულადი სახსრების მართვა;
- საჯარო სექტორში ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტის დამკვიდრება;

სახელმწიფო ხაზინის ორგანიზებით ფუნქციონირებს ორი სათათბირო ორგანო, რომელიც იღებს გადაწყვეტილებებს შესაბამისი კომპეტენციის ფარგლებში:

- საქართველოს მთავრობის სათათბირო ორგანოს „საჯარო სექტორის სართემორისო ბუღალტრული სტანდარტების საბჭოს“ სამდივნო;
- საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სათათბირო ორგანოს „სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაცემული სესხებისა და ვადაგადაცილებული საგადასახადო დავალიანებების რესტრუქტურის კომისიის“ სამდივნო.

1997 წლიდან დღემდე სახაზინო სამსახურში განხორციელდა არაერთი სტრუქტურული რეფორმა, 2010 წლიდან გაუქმდა ყველა რეგიონალური ფილიალი და შეიქმნა ერთი ცენტრალიზებული სისტემა. 2012 წელს ამოქმედდა სახაზინო სამსახურის ახალი დებულება, რომლითაც განისაზღვრა სახაზინო სამსახურის უფლებამოსილებანი და ფუნქციები, რაც რეფორმის შედეგად მიშვნელოვნად იქნა გაზრდილი. ახალი დებულებით მოხდა სახაზინო სამსახურის სტრუქტურის დახვეწა. საბიუჯეტო სახსრების ეფექტურად მართვის მიზნით მკვეთრად იქნა შემცირებული საშტატო რიცხოვნობა. დღეისათვის ასე გამოიყურება სტრუქტურა:

- სახაზინო სამსახური - საქართველო ფინანსთა სამინისტროს დაქვემდებარებული სამსახური;
- ერთი ოფისი 97 პერსონალით;
- ზოგადად პასუხისმგებელია:
 - ❖ ბიუჯეტის გადასახდელების შესრულებაზე, აღრიცხვასა და ანგარიშგებაზე;
 - ❖ ბიუჯეტის შემოსულობების აღრიცხვასა და ანგარიშგებაზე;
 - ❖ ბუღალტრული მეთოდოლოგიის განვითარებაზე;
 - ❖ PFMS- ის ფუნქციური განვითარება;

სახელმწიფო ხაზინა 2018 წლის მონაცემებით ემსახურება 1576 საბიუჯეტო ორგანიზაციას, მუნიციპალურ სამსახურს, საჯარო სამართლის იურიდიულ პირსა და არასამეწარმეო (არამომგებიან) იურიდიულ პირს.

ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის აღსრულება არის უმნიშვნელოვანესი რეფორმა, რომელიც ხორციელდება ვალდებულება-დამოწმების მექანიზმის მეშვეობით. აღნიშნულმა რეფორმამ ხელი შეუწყო საჯარო ფინანსების ხარჯვაში ფინანსური წესრიგის გამტკიცებას, აღრიცხვიანობის მოწესრიგებას და გაწეული ხარჯების გამჭვირვალობას. განხორციელებული რეფორმის ფარგლებში ასევე განხორციელდა შიდა კონტროლის მექანიზმების დანერგვა, რომელიც მოიცავს ხარჯის გაწევის შემდეგ ეტაპებს:


ბიუჯეტებიდან განსახორციელებელი გადახდების დამუშავება:

- ხელშეკრულებები;
- ვალდებულებები;
- საგადახდო მოთხოვნები;
- დამოწმებები;

აღნიშნული ოპერაციების განხორციელება მოითხოვს რისკების შეფასებას და შიდა კონტროლის მექანიზმების არსებობას.

გატარებული რეფორმების დადებითი შედეგია სახელმწიფო ხაზინის ელექტრონული სისტემიდან გადარიცხული მოთხოვნების სტატისტიკა


ცხრილი N1 „გადარიცხული მოთხოვნების სტატისტიკა“



ცხრილი N2. „გადასახდელი ტრანზაქციების რაოდენობა“



ცხრილი N3 „ტრანზაქციების საშუალო რაოდენობა დღეში“



შიდა კონტროლი და ინტეგრირებული ვებ-სერვისები - ხაზინის ელექტრონული სისტემის მოდული რეფორმების ფარგლებში განხორციელდა ხაზინის სიტემის ელექტრონული ინტეგრაცია სხვადასხვა სისტემებთან, რამაც უზრუნველყო ხარჯვითი ნაწილის შიდა კონტროლი და პროცედურების გამარტივება. ინტეგრირებული სისტემების მეშვეობით ჩამოყალიბდა ერთიანი საჯარო ფინანსების მართვის საინფორმაციო სისტემა (PFMS).

- ხაზინის ელექტრონული სისტემის მოდული იღებს ინფორმაციას "ბიუჯეტის დაგეგმვისა და მართვის მოდულის" პროგრამული კოდების, ბიუჯეტის კლასიფიკაციის კოდების და ბიუჯეტის ასიგნებების შესახებ.
- PFMS დაკავშირებულია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ელექტრონულ სისტემასთან, საიდანაც ელექტრონული ხაზინა იღებს ხელმოწერილი კონტრაქტების შესახებ ინფორმაციას (სატენდერო ნომერი, ხელშეკრულების ნომერი და თარიღი, საიდენტიფიკაციო კოდი და მიმწოდებლის სახელი, საერთო თანხის ოდენობა და ვალუტა, CPV კოდი).
- მიმწოდებლის სახელისა და საიდენტიფიკაციო კოდის შემოწმების მიზნით სისტემა იყენებს შემოსავლების სამსახურისა და სამოქალაქო რეესტრის ელექტრონულ მონაცემთა ბაზას.


- ინდივიდუალური ბენეფიციარების იდენტიფიკაცია (სახელფასო, მომსახურების კონტრაქტები და ა.შ.) ამოწმებს სამოქალაქო რეესტრის მონაცემთა ბაზის სისწორეს (პირადი მონაცემების კონფიდენციალობის ყველა წესის დაცვით).

IPSAS რეფორმა - 2009 წლიდან დაიწყო სახელმწიფო ხაზინაში IPSAS რეფორმის დანერგვა, რომლის მთავარ მიზანს წარმოადგენს საჯარო სექტორში ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების სრულად შემოღება და აუდიტირებული, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების გამოქვეყნება. თუმცა უნდა აღინიშნოს რომ 2009 წლიდან დღემდე მხოლოდ შესაძლებელი გახდა ნაერთი ბიუჯეტის ფინანსური ანგარიშგების წარდგენა სახელმწიფო ბიუჯეტისთვის. ადგილობრივი მმართველობის და ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისთვის ჯერ მხოლოდ ნორმატიული აქტის დონეზე მიმდინარეობს მუშაობა, არ არის შემოშავებული სრულყოფილი მეთოდოლოგია, რომელიც უზრუნველყოფს ნაერთი ბიუჯეტის ფინანსური ანგარიშგების წარდგენას.

2.2.შემოსავლების აღრიცხვა-ანგარიშგების რეფორმა

ხაზინის ერთიანი ანგარიშის მეშვეობით შესაძლებელი გახდა სახელმწიფო რესურსების ერთად აკუმულირება, რამაც შესაძლებელი გახდა ზედმეტად გადახდილი თანხების უკან დაბრუნების მექანიზმის შემუშავება. კერძოდ, საგადასახადო შემოსულობის გარკვეული ნაწილი მიიმართება საგადასახადო შემოსავლის ზედმეტად გადახდილი თანხების დაბრუნების ქვეანგარიშზე, რაც უზრუნველყოფს ზედმეტად ან შეცდომით გადახდილი თანხების შეუფერხებლად დაბრუნებას, ხელს უწყობს პროცესის გამჭვირვალობას და მოქნილობას და გადამხდელთა ნდობის ამაღლებას სახელმწიფოს მიმართ.

ცხრილი N4 „დაბრუნებული თანხები“



ხაზინის ერთიანი ანგარიში (TSA) – ხაზინის ერთიანი ანგარიშის შექმნა იყო ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი რეფორმა საქართველოს ისტორიაში საჯარო ფინანსების მართვის კუთხით. ხაზინის ერთიანი ანგარიშს აქვს ყველა საერთო ფუნქცია, რაც ფართოდ გამოიყენება ფინანსური მართვის საინფორმაციო სისტემების თანამედროვე პროგრამებში. ხაზინის ერთიანი ანგარიში ეხმარება სახაზინო სამსახურს და ფინანსთა სამინისტროს ეფექტურად განახორციელოს როლი საბანკო სისტემაში.

ხაზინის ერთიანი ანგარიში გახსნილია საქართველოს ეროვნულ ბანკში; სახელმწიფო ხაზინა საბანკო ანგარიშსწორებას ახორციელებს „დროის რეალურ რეჟიმში ანგარიშსწორების“ (RTGS) სისტემის მეშვეობით; RTGS სისტემაში ხაზინა ჩართულია 2007 წლიდან, რომლის განახლებული სისტემა დაინერგა 2010 წლიდან; სისტემაში სახელმწიფო ხაზინა ჩართულია დამოუკიდებელი მონაწილის სტატუსით და მინიჭებული აქვს საბანკო კოდი; RTGS სისტემას მართავს საქართველოს ეროვნული ბანკი და მონაწილეები არიან ეროვნული ბანკი, კომერციული ბანკები და სახაზინო სამსახური.

2.3. ფულადი სახსრების მართვისა და პროგნოზირების რეფორმა


საჯარო ფინანსების ეფექტურად მართვის უზრუნველსაყოფად სახელმწიფო ხაზინამ არაერთი რეფორმა განახორციელა და ყველა ამ რეფორმის შემდეგ დღის წესრიგში დადგა ფულადი სახსრების მართვა, რისთვისაც 2015 წლიდან შექმნილია ცალკე დეპარტამენტი, რომლის მთავარი ფუნქციაა:

- წინა პერიოდის მონაცემების ანალიზი;
 - ინტერაქტიული რეპორტები ნაშთებზე, შემოსულობებზე, გადასახდელებსა და დეფიციტზე (WEB ფორმატში და ექსელში VBA-ს გამოყენებით)
 - ანალიტიკური რეპორტები (CPV დონეზე) შემდეგ ხარჯებზე: შრომის ანაზღაურება, მივლინება, ტრანსპორტი, კავშირგაბმულობა და ა.შ.
 - ფულადი სახსრების პროგნოზირება
 - სახელმწიფო ბიუჯეტის ფულადი სახსრების მოძრაობის პროგნოზები - ყოველდღიურ და ყოველთვიურ კრილში;

აღნიშნული რეფორმის შედეგად სახაზინო სამსახურმა უზრუნველყო დროებით თავისუფალი ფულადი სახსრების განთავსება დამატებითი შემოსავლის მობილიზების მიზნით. ფულადი სახსრების განთავსებას სახაზინო სამსახური ახორციელებს აუქციონის გზით. პირველი აუქციონი ჩატარდა 2017 წლის ივნისის თვეში და 2019 წლის აპრილის მდგომარეობით უკვე ჩატარებულია 115 აუქციონი, შესაბამისად სახელმწიფო ბიუჯეტში მობილიზებულია 60 მილიონ ლარზე მეტი.

საქართველოს მთავრობის განკარგულების შესაბამისად დამატებითი შემოსავლების მობილიზების მიზნით სახელმწიფო ხაზინა თანხებს განათავსებს მხოლოდ საქართველოში მოქმედ კომერციულ ბანკებში დეპოზიტების სახით აუქციონის წესით. აუქციონში გამარჯვებულ ბანკში სახაზინო სამსახური ხსნის ანგარიშს და ხდება სადეპოზიტო თანხის განთავსება აუქციონის პირობების შესაბამისად. თუმცა უკეთესი იქნებოდა გაფართოვდეს ფინანსური ინსტრუმენტების არეალი და თანხები განთავსდეს უფრო მაღალ ლიკვიდურ აქტივებში.

ცხრილი N5 “სახელმწიფო ბიუჯეტის დეპოზიტები კომერციულ ბანკებში“



დანერგილმა საინფორმაციო სისტემამ და მიმდინარე ბიზნესპროცესების დახვეწამ გაამარტივა და უზრუნველყო ბიუჯეტიდან განხორციელებული გადახდების გამჭვირვალობა, მომსახურების გაუმჯობესება, ხარჯების შემცირება, ინფორმაციის მარტივი დამუშავება, დროისა და რესურსების ეფექტური მართვა.

თავი III. ფინანსური რისკების მართვა გლობალიზაციის სპირობებში

3.1. ფინანსური რისკების კლასიფიკაცია

ადამიანების ყოველდღიურ საქმიანობას ყველა დროში თან მუდმივად განუსაზღვრელი რისკის წილი ახლდა, რომელიც ადამიანების საკუთარი გადაწყვეტილების შედეგი იყო ან მათი სურვილისა და მისწრაფებებისაგან დამოუკიდებლად არსებობდა. სტიქიას, ომებს, ტექნოლოგიურ კატასტროფებს ყოველთვის უდიდესი ზარალი მოჰქონდა და მათ თან ადამიანების დაღუპვა, ეპიდემიები, საცხოვრებელი ადგილის შეცვლის საჭიროება, მოუსავლიანობა და სხვა სახის უბედურებები ახლდა. საზოგადოების ევოლუციის, საქმიანობის სახეობების გაფართოებისა და გართულებისა და გართულების შესაბამისად, შესაძლო საშიშროებების ჩამონათვალი იზრდებოდა, მათი ხასიათი, წარმოშობის სფერო, მიმართულება და ზემოქმედების ძალა იცვლებოდა. თუ პირველყოფილი თემური

წყობილების პირობებში ადამიანისათვის მთავარ საშიშროებას ბუნებრივი მოვლენები, მტაცებლებისა და მტრულად განწყობილი ტომების თავდასხმები და ავადმყოფობები წარმოადგენდა, თანამედროვე მსოფლიოში კი - ბუნების სტიქიასთან ერთად, მუდმივად სახეცვალებადი სხვა საშიშროებები არსებობს, როგორებიცაა: ტექნოლოგიური ავარიები, ბირთვული, ბაქტერიოლოგიური და სხვა სახის იარაღის გამოყენება, ცოცხალი ორგანიზმის კლონირება, საერთაშორისო ტერორიზმი, ეკონომიკური კრიზისები და სხვა.

რისკის შესახებ ცოდნის დაგროვებისა და განვითარების პროცესის განხილვისას, შეიძლება ოთხი ეტაპი გამოიყოს, რომელთა განმავლობაში რისკის შესახებ თანამედროვე მეცნიერული წარმოდგენები ყალიბდებოდა, როგორიცაა: პირველყოფილი, უძველესი, ინდუსტრიული და სისტემატიზაციის ეტაპები.

პირველი ეტაპი - „გონიერი ადამიანის“ წარმოშობის მომენტიდან ჩ.წ.ა-მდე IX-VII ათასწლეულების პერიოდს მოიცავს. იმ შორეულ დროში ადამიანი ბუნებრივ სტიქიასთან უშუალო დამოკიდებულებაში იმყოფებოდა, რაც სიცოცხლის შენარჩუნებისათვის ბრძოლაში მას გარდაუვალი საშიშროებისაგან დაცვის წესებისა და ხერხების მუდმივად გაუმჯობესებას აიძულებდა. ადამიანმა დიდი დრო მოანდომა ევოლუციის საფეხურებზე ასვლას, სანამ ჩ.წ.ა-მდე IX-VII ათასწლეულის ახლო აღმოსავლეთის რიგ ადგილებში მეურნეობის (ნადირობა, ნაყოფის შეგროვება, თევზჭერა) მიმთვისებლებიდან, პროდუქტების მიღების პრინციპულად ახალ ფაზაზე - თანდათანობით მათ წარმოებაზე გადასვლის გზას დაადგა.

უძველესი დროიდან- ჩ.წ.აღრიცხვის XVIII საუკუნის პირველი ნახევრის პერიოდს მოიცავს. მწარმოებლურ ეკონომიკაზე გადასვლა გახდა რისკის მართვის სფეროში ადამიანების მიერ გარკვეული ცოდნის ფორმირებისა და დაგროვების ათვლის წერტილი.

ინდუსტრიული ეტაპი - XVIII ს. მეორე ნახევრიდან - XX ს. შუა პერიოდს მოიცავს. მოცემული ეტაპი „რისკის კატეგორიის“ სხვადასხვა ასპექტების შესწავლისათვის ბევრ რამეში განსაზღვრული გახდა, რადგანაც ამ პერიოდში დამუშავებული იქნა რისკების მეცნიერული თეორიების ძირითადი ელემენტები, ფუნქციები და რისკის თვისებები, გამოვლენილ იქნა სხვადასხვა სახეობის რისკების წარმოქმნის ძირითადი მიზეზები,

მათ კლასიფიკაციასთან მიმართებაში ჩამოყალიბდა რისკების მართვის მთავარი კონცეფციები და მიდგომები. ერთდროულად მიმდინარეობდა რისკების მართვის მეთოდების კვლევა, რისკის მართვის სისტემის და მათი ანალიზისა და მინიმიზაციის კონკრეტული მეთოდების შექმნა.

საბაზრო ურთიერთობების თეორიაში რისკის ცნება პირველად ფრანგმა ეკონომისტმა რ. კანტილონმა შემოიტანა, რომელიც რისკს, როგორც კონკურენციის წესების მიხედვით წარმართული ნებისმიერი სავაჭრო საქმიანობისათვის თვისების სახეობად განიხილავდა. მოვაჭრეს მოგებას და დანაკარგებს იგი აფასებდა, როგორც განუსაზღვრელობისა და რისკის შედეგს. მიუხედავად მრავალი წინააღმდეგობებისა, თანამედროვე დასავლეთის ეკონომისტები ამ აღნიშნულ ფრანგ მეცნიერს რისკების თეორიის ფუძემდებლად თვლიან.

კაპიტალისტური ურთიერთობების წარმოშობასთან და განვითარებასთან არის დაკავშირებული მეცნიერული აზრისა და „რისკების“ ცნების შემდგომი შესწავლის აქტივიზაცია. სამეწარმეო საქმეში რისკის არსებობის პრობლემას ეკონომიკური თეორიის კლასიკოსები დიდ ყურადღებას უთმობდნენ. ამ პერიოდში რისკების თეორიის განვითარება ორი მიმართულებით - კლასიკური და, უფრო გვიან, ნეოკლასიკური მიმართულებით მიმდინარეობდა.

კლასიკური სკოლის წარმომადგენლები ჟ. მილი, ა. სმიტი, ფ. ნაიტი, ნ.უ. სენიორი სამეწარმეო მოგების შემდეგ ელემენტებს გამოყოფდნენ:

- დაბანდებულ კაპიტალზე პროცენტს ანუ მეწარმის „შრომის ანაზღაურებას“ (ხელფასს);
- რისკებზე გადასახადს, როგორც შესაძლო რისკის ანაზღაურება, რომელსაც კაპიტალისტი სამეწარმეო საქმიანობის განხორციელებისას თავის თავზე იღება.

რისკების კლასიკური თეორია, აღნიშნულ ეკონომიკურ კატეგორიას, პირველ რიგში, არჩეული გადაწყვეტილების რეალიზაციის შედეგად დანაკარგების მიღების შესაძლებლობას უკავშირებს. ამასთან დაკავშირებით, მეწარმე ათვისებლობიერებს რისკს და იგი შემოსავლის სტრუქტურაში მის თავისებურ კომპენსაციას, ან სადაზღვევო პოლისის ჩართვას მოითხოვს. აღნიშნული ნიშნავს, რომ რამდენადაც მეტია რისკი, იმდენად მეტი უნდა იყოს მოგების ნორმა.

XIX საუკუნეში გერმანელმა ეკონომისტმა ი.ფონ ტიუნენმა, რომელიც გერმანული კლასიკური სკოლის წარმომადგენელი იყო, მოგების სიდიდისა და სამეწარმეო რისკს შორის პირდაპირი კავშირი გამოავლინა. საბაზრო ურთიერთობების თეორიაში მან პირველმა გამოუყენებელი ალტერნატიული შესაძლებლობების რისკის ცნება შემოიტანა, რასაც მოგების ბოლომდე მიუღებლობამდე მივყავართ. მეცნიერის თვალსაზრისით, ერთადერთი მამოძრავებელი ძალა, რომელიც მეწარმეს რისკზე წასვლას უბიძგებს, მიგების მიღება წარმოადგენს, რომელიც რისკის გადიდების პროპორციულად უნდა იზრდებოდეს.

ი. ფონ ტიუნენის იდეის განვითარების მიზნით, გერმანიის კლასიკური სკოლის მეორე წარმომადგენელმა გ. ფონ მანგოლდმა დროის ფაქტორის გათვალისწინებით, რისკის ხარისხის შეფასების აუცილებლობის შესახებ პირველმა დასვა საკითხი, რისკის ხარისხი, მისი თვალსაზრისით, ასევე წარმოების ხარისხზეც არის დამოკიდებული, როგორცაა:

- შეკვეთით დამზადებულ ოროდუქციაზე (რისკის სიდიდე მინიმალურია, ან საერთოდ არ არსებობს), ანუ პროდუქციის წარმოებაზე ან მომსახურების გაწევაზე შეკვეთის მკაფიოდ განსაზღვრის შემთხვევაში რისკი მინიმალურია, ან საერთოდ არ არსებობს;
- ბაზარზე (რისკი სიდიდე მნიშვნელოვანია), ანუ საბაზრო კონკურენციის, განუსაზღვრელობის, ხშირად ცვალებადი სიტუაციების პირობებში რისკის ხარისხი მნიშვნელოვნად იზრდება.

გარდა ამისა, რამდენად მეტი დროა წარმოების დაწყების მომენტიდან მზა პროდუქციის საბოლოო რეალიზაციამდე გასული, იმდენად მეტია შესაძლო დანაკარგების რისკი და იმდენად მეტი უნდა იყოს კომპენსაცია ან გასამრჯელო მასზე.

ამერიკელმა ეკონომისტმა ფ. ნაიტმა ყველაზე უფრო სიღრმისეულად განავითარა რისკის ფაქტორის იდეა, როგორც სამეწარმეო მოგების წყარო. შემოსავალი, რომელსაც მეწარმე ღებულობს, არა მარტო მატერიალური, შრომითი და ფულადი რესურსების დანახარჯების საფუძველზე ფორმირდება, არამედ თვით იდეის ნაყოფიერებიდანაც, მეწარმის შესაძლებლობებისაგან განუსაზღვრელობის მდგომარეობისა და რისკის მინიმალური დანაკარგებით დაძლევის შესაძლებლობაზეც არის დამოკიდებული.

შემოსავალი განისაზღვრება როგორც რისკზე გადასახადი. ფ. ნაიტი რისკების ორ - დაზღვევად და დაუზღვევად კატეგორიებს გამოყოფს. რამდენადაც პროგნოზირებადი მოვლენის დადგომის ალბათობა განსაზღვრულია, რისკის ზემოქმედების შედეგად შესაძლო დანაკარგები „დანახარჯების მუდმივ ელემენტად“ გარდაიქმნება. ასეთ სიტუაციაში რისკი არ შეიძლება მოგების ან დანაკარგების წყაროს ემსახურებოდეს. მეწარმის შემოსავალი განუსაზღვრელობით ფორმირდება, რომლის განვითარება, ფ. ნაიტის მოსაზრებით, ერთმნიშვნელოვან განსაზღვრას და აღრიცხვას არ ექვემდებარება.

კლასიკური სკოლის წარმომადგენლების მიერ რისკის განსაზღვრა, პირველ რიგში, როგორც დანაკარგების, ანუ ნეოკლასიკური თეორიის წარმოშობის საბაზი გახდა. ეკონომიკური გამოკვლევები მიკროდონეზე იქნა გადატანილი, ანუ შესწავლისა და ანალიზის ობიექტი რისკის პირობებში საწარმოო და მისი საქმიანობა გახდა.

ა. მარშალი და ა. პიგუ მოგებას როგორც შემთხვევით და ცვალებად სიდიდეს განიხილავდნენ, რომელიც საწარმოს ფუნქციონირების პირობების ცვალებადობის მიზეზით, არ შეიძლება მუდმივი იყოს. ამიტომ თავის საქმიანობაში საწარმოო ორი ძირითადი კრიტერიუმით უნდა ხელმძღვანელობდეს:

- მოსალოდნელი მოგების სიდიდით;
- მოსალოდნელი დონისაგან მისი შესაძლო ცვალებადობისა და გადახრების სიდიდით.

